ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

23.03.2015 №46

თბილისი

სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2015 წლის 25 მარტს და დასრულდეს 2015 წლის 27 აპრილს, 16 საათზე. საბუთები მიიღება ინსტიტუტის შენობაში (მის: კოსტავას ქ..№68, ტელ: 2 33-08-36), 10 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონსურსი ჩატარდეს არაუგვიანეს 2015 წლის 1 მასისა.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიცილურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტემენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის
სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური
თანამდებობა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

- მიწისზედა და კოსმოსური საინჟინრო კომპლექსები, მათი კონსტრუირების, გაანგარიშების საფუძვლები და ექსპერიმენტალური კვლევები – 1 საშტატო ერთეული

კონკურსანტს მოეთხოვება საკონკურსო კომისიაში წარადგინოს ინფორმაცია და შესაბამისი

დამადასტურებელი დოკუმენტაცია სამეცნიერო საქმიანობის შესახებ:

- დასაკავებელი სამეცნიერო თანამდებობის შესაბამისი ხარისხი;
- პროფილის შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი მოღვაწეობის დამადასტურებელი ინფორმაცია;
- გამოცემული იმ ძირითადი სამეცნიერო შრომების სია, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების უნარს;
- არჩეული პროფილის შესაბამისი შრომების ასლი;
- პროფილის მიხედვით ჩატარებული სამუშაოების ჩამონათვალი:
- საავტორო უფლებები: აღმოჩენაზე (დიპლომი), გამოგონებაზე (საავტორო მოწმობა ან პატენტი);
- ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო და სხვა პროექტებში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საქმიანობით მიღებული შედეგები, რომლებმაც მოიპოვა აღიარება;
- მონოგრაფია;
- მოპოვებული პრემიები: სახელმწიფო სამეცნიერო პრემია, დარგობრივი სამეცნიერო პრემია;
- სახელმწიფო მიზნობრივ პროექტებში მონაწილეობა;
- აკადემიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა;
- სახელმწიფო ჯილდოები;
- უცხო ენების ცოდნა;
- კომპიუტერული პროგრამებისა და თანამედროვე საინფორმაციო-ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა (საოფისე – Word, Excel; გრაფიკული – AutoCAD, Inventor და სხვ.; გამომთვლელი – Lira, Ansys, MSC Nastran).

საჭირო საბუთები:

- განცხადება (ფორმას გასცემს ინსტიტუტი);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია;
- სამეცნიერო თანამდებობის შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის დიპლომის ასლი;
- სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი ანკეტა (ფორმები გაიცემა საკონკურსო კომისიის მიერ), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (ქსეროასლი);